ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 251

"10" ივნისი 2022 წ.

ქ. თბილისი

ქალაქთბილისში, ჩიქოვანის ქუჩა №36-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.10.17.023.001.01.01.032) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაციისთვის" (ს/ნ. 405185400) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 და მე-8 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ჩიქოვანის ქუჩა №36-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.10.17.023.001.01.01.032) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულიპირის „საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაციისთვის" (ს/ნ. 405185400) პირდაპირიგანკარგვისწესითსარგებლობისუფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 18 მაისის №22.747.768 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, ჩიქოვანის ქუჩა №36-ში არსებული ბინა №32-ის ფართით 93 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: №01.10.17.023.001.01.01.032) პირდაპირი განკარგვის წესით „საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაციისთვის" (ს/ნ. 405185400) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხი, საკითხი, ა(ა)იპ საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაციის" (ს/ნ. 405185400) განთავსების მიზნით.

2. უსასყიდლო უზუფრუქტის ვადა განისაზღვროს 2 (ორი) წლის ვადით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე